ზეცათა მოქალაქობის ზოგადი ასპექტები ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში წმინდანის სულიერი განვითარების ჩვენებისას უმთავრესია ზეციური მოქალაქობის, ზესთასოფლისა და სოფლის, სიკვდილ-სიცოცხლის, სხეულისა და სულის ურთიერთმიმართების პრობლემა, რომლის ფესვები არა მხოლოდ ბიბლიურ წიგნებში, არამედ სხვა კულტურულ განზომილებებშიცაა საძიებელი. ნეტარმა ავგუსტინემ თხზულებაში – „ღვთის ქალაქისათვის“ შეაჯამა ორი სამყაროს – ორი ქალაქის შესახებ გამოთქმული შეხედულებანი: ღვთიური ქალაქისა (civitas Dei) და მიწიერი ქალაქის (civitas terrena) შესახებ. პირველს მიეკუთვნება ყველა სულიერი ძალა, ღმერთის ერთგული ყოველი არსი, კეთილი ანგელოზები, ჭეშმარიტი ქრისტიანები და ღვთივსულიერი ადამიანები, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ მატერიალური საზრუნავისაგან. მიწიერ ქალაქს მიეკუთვნება ის, ვინც მხოლოდ ამქვეყნიური ინტერესებით ცხოვრობს (secundum carnem); ეს უკანასკნელნი მისდევენ ადამიანური კანონებით, ადამიანის მიერ დადგენილი კანონებით ცხოვრებას. საღვთო ქალაქი ჰგავს იმ უცხო მოქალაქეს (civitas peregrina), რომელიც ამქვეყნიური ქალაქის სამყაროში „დახეტიალობს“ და მუდმივად განიცდის მისგან დევნას. ისინი ურთიერთგადაჯაჭვულნი არიან, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ; მათი ურთიერთდაპირისპირებულობა საფუძვლად უდევს მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, დრამატულად ვითარდებოდა, ვითარდება და განვითარდება ადამიდან მოყოლებული განკითხვის დღემდე, ღვთის სამსჯავრომდე. ეს ორი ქალაქი წარმოსახავს ნათელისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლას, რაც მანამ იარსებებს, ვიდრე ეს სამყარო, მიწიერი სამყარო არსებობს. ნეტარ ავგუსტინესთან ზეციური სამყარო, ღვთის ქალაქი წარმოდგენილია მარადიული ნეტარების იდეალურ სასუფევლად, რომელიც მარადიული საოცნებო საგანი იყო ძველი, ბნელი მატერიალური სამყაროს მრავალტანჯული ადამიანისათვის (ნეტარი ავგუსტინე, 2002).

ძველი აღთქმის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა ზეციური ქალაქის შესახებ ემყარება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტის გადმოცემას, რომელიც ჰიპოდიგმაა ახალი აღთქმისეული ზეციური ქალაქისა და ზეციური მოქალაქობის კონცეფციისათვის. მისი საფუძველი ქრისტიანული რელიგიის უპირველესი ლოცვა „მამაო ჩვენო“ და მაცხოვრის შემდეგი სიტყვებია: „იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა“ (*მათე, 5, 45*); „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (*მათე, 5, 48*).

ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის პერსონაჟის, წმინდანის, ქრისტიანი ადამიანის მოვალეობაა თანამედროვეთა და მომავალი თაობებისათვის თავისი მოღვაწეობით ჭეშმარიტების გზით სვლის სწავლება, სულიერი აღზრდა, რათა თითოეულმა მათგანმა ზეციური ქალაქის მკვიდრობა მოიპოვოს. ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის წმინდანი ერთმანეთისაგან განსხვავებულ დროსივრცულ კატეგორიებში განიხილება.

ჰაგიოგრაფიის მთავარი პერსონაჟის ბუნების განსაზღვრისას მისი მხატვრული სახის ჩვენების მიზანდასახულობა ზეციური ადამის პირველსახის დაბრუნებაა, დაცემული ადამის ამაღლებაა საღვთო გზაზე შემდგარი და ღვთივსათნოდ მცხოვრები ყოველი ადამიანის მცდელობით, რაც ღვთის ნებით ხდება, წმინდანობის გზაზე შემდგარი ჰაგიოგრაფიული გმირის, უფალს მიახლოებული ადამიანის განღმრთობაა, ღმერთშემოსილად ქცევაა. გზა ამ მიზნისაკენ ურთულესია.

ჰაგიოგრაფიის პერსონაჟი ჰიმნოგრაფიული გმირისაგან განსხვავებულია, რაც დრო-სივრცულ განზომილებასა და სულიერი ბუნების კვალობაზეა გასააზრებელი. ჰაგიოგრაფია პერსონაჟს, ძირითადად, ორ დროსივრცულ არეალში წარმოაჩენს, ჰიმნოგრაფია – ერთში. ამქვეყნიური ცხოვრება ორ ონტოლოგიურ ზღვარს შორის – სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მიმდინარეობს და, შესაბამისად, ჰაგიოგრაფია ამ ზღვარზე მდგომი ადამიანის – მოწამისა თუ მოღვაწის შესახებ მოგვითხრობს. თავად წმინდანი მიიჩნევს, რომ მას, როგორც ღვთისგან ქმნილ ადამიანს, სამყაროში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, ბიბლიური მსოფლხედვის თანახმად, იგი არის ადამიანი, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების შედეგი.

ჰაგიოგრაფიის სიუჟეტის უმთავრესი და ძირითადი წარმმართველია წმინდანი, – მოწამე ან მოღვაწე, რომლის სრულყოფილი სახის წარმოჩენას ემსახურება ყველა სხვა დანარჩე-

ნი, მათ შორის უარყოფითი პერსონაჟი, ანუ ცოდვილი, რომელსაც, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დადებითი თვისება არ აქვს (*გიგინეიშვილი 2003: 675-684*). წმინდანი ბავშვობიდანვე გამორჩეულია, თუმცა იმთავითვე გამოკვეთილი ბუნებისა შეიძლება არ იყოს, მაგრამ თვისებებს, რომელთა მიხედვით წმინდანად ყალიბდება, თანდათანობით იძენს, ბოლოს კი ზოგადადამიანური თვისებების მქონე სრულყოფილი ადამიანის სახით წარმოიდგინება. მარტიროლოგიაში წმინდანი რწმენისთვის წამებულია, ტანჯული და გვემული; „ცხოვრებებში“ წმინდანი მიჰყვება ფსალმუნურ (*ფს. 43, 22*) და აპოსტოლურ (*პრომ. 8,36*) სწავლებებს.

არეოპაგიტული თვალსაზრისით, ჭეშმარიტებას, რომელიც ზეციური მოქალაქობის საფუძველია, მხოლოდ რჩეულნი ეზიარებიან, ზეციურ მოქალაქობას მოიპოვებენ. სახისმეტყველებითად წმინდანი ჰაგიოგრაფიაში წარმოსახვის ღერძული საყრდენია. ჰაგიოგრაფია ინდივიდს, ხასიათს, პიროვნებას კი არ ხატავს, არამედ ხატ-სახეს, დადებითს ან უარყოფითს, ასახავს. ხატის მეშვეობით ადამიანი უახლოვდება გამოუთქმელისა და ღვთაებრივის შეცნობას, წმინდანის სახე ღვთაებრივი სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით, ღვთისადმი შიშით, სულგრძელობით, მოთმინებით, რწმენით აღსავსეა, ხოლო მისი ქმედება ღვთაებრივი სიკეთისაკენ მიდრეკილია და ღმერთთან შერთვით სრულდება. წმინდანი აბსოლუტურად სრულყოფილია.

უნდა აღინიშნოს სხვაობა ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას შორის წმინდანის სახის წარმოსახვით, რადგან თუ ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა ჰიმნოგრაფიისათვის უმთავრესია, ღერძულია, ძირითადია, ჰაგიოგრაფიისათვის იგი ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალებაა. ეს საკმაოდ დიდი განმასხვავებელი ნიშანი ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა სახისმეტყველებასა და თვით ბიბლიურ წიგნთა ორი განსხვავებული, მაგრამ უერთმანეთოდ წარმოუდგენელი ნაწილის განსხვავებული სახისმეტყველების პრინციპებს ეფუძნება.

ადამიანის სულიერი სრულყოფის გამოხატულებაა მისი ამქვეყნიური ღვაწლი, რაც ზეციური მოქალაქობის მისაღწევად აუცილებელი საფეხურია და რის საწინდარიც სულის ამაღლებულობაა, წმინდანის ამქვეყნად მოღვაწეობის საფუძველზე ამქვეყნიურობით შემოფარგლული დროისა და სივრცის გადალახვით ზესივრცულისა და ზედროულობისაკენ სწრაფვაა.

მაცხოვრის მოვლინების შედეგად ადამიანს განღმრთობისა და სულიერების აღდგენის შესაძლებლობა მიეცა, რაც ღმერთთან ზიარებით, განღმრთობით ხორციელდება. მხოლოდ მაცხოვარმა შეიცნო სიკვდილის ნამდვილი არსიცა და მარადიული არსებობის აქსიოლოგიური ღირებულებაც (*ლოსკი 1991: 328*), მხოლოდ მის განღმრთობილ ადამიანურ ბუნებას შესწევს სამყაროს შეცნობის, ადამიანის რაობისა და მისიის, ორი ეთიკურ-ონტოლოგიური ზღვარის – სიცოცხლისა და სიკვდილის – წვდომა. მაცხოვარმა საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით გამოისყიდა პირველადამიანთა ცოდვა, რის შემდეგაც ყოველ ადამიანს მიეცა განღმრთობის შესაძლებლობა დიაქრონიულ ასპექტში. სხეული, სული და ზესთასოფელი – ესაა ის სულიერი გრადაცია, რასაც ადამიანი საფეხურებრივად, ქვემოდან ზემოთ, მიჰყავს სრულყოფილებისაკენ, ღმერთისაკენ, „სამოსელი პირველის“ დაბრუნებისაკენ, ზეციური მოქალაქობის მოპოვებისაკენ, რადგან სამყაროში აღმავალი მოძრაობაა, რომლის დროსაც სულიერი ცვალებადობა უკეთესისაკენ მარადიული მისწრაფებით გამოიხატება.

ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის წარმოსახვა ეფუძნება ორ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს: 1. საკრალურობასა და მისტიურობას, რაც მისი სულიერი ცხოვრების ასახვას გულისხმობს; იგი ამაღლებულის ნიშნით არის აღბეჭდილი; მისტიური სიმბოლიკა საღვთისმეტყველო კანონიკითაა განსაზღვრული და მხატვრული ელემენტის, ანუ გამონაგონის შეტანა დაუშვებელია, ყოველივე აისახება „ვითარცა იგი იყო“... ყოველივე არის „ჭეშმარიტი და უტყუელი“ და გამოითქმება „დამტკიცებულად“, „სრულიად ჭეშმარიტად“; 2. მხატვრულ-ესთეტიკურს, რომელიც ადამიანის თავისუფალი, შემოქმედებითი აზროვნების შედეგია. ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირი ამაღლებულის მშვენიერებით წარმოჩნდება, რაც მისი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების საფუძველს ქმნის. ჰაგიოგრაფიული გმირი ზნეობრივი მაგალითია, გზის მაჩვენებელია. ჰაგიოგრაფიის მთავარმა პერსონაჟმა მაგალითი უნდა მისცეს მრევლს, რაც მისი ღვაწლის უმთავრესი მიზანდასახულობაა. ესაა აპოსტოლური მოძღვრებით გამოხატული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წმინდანს მიმბაძველი უნდა გაუჩნდეს („კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“. გალატ. 4,18). ჰაგიოგრაფიული გმირის ჩვენება ევანგელურ-აპოსტოლურ მო-

ძღვრებას ეფუძნება და ამ კვალობაზე ეს ჟანრი სასწაულთ-მოქმედებასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ჰაგიოგრაფია წმინდანის სულიერი ზეაღსვლის ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს. ესაა ბაძვა და ზიარება, რაც განღმრთობით დასრულდება. წმინდანის ზოგადი სახე ასეთია: იგი ზნეობრივ სრულყოფას, სულიერ ამაღლებასა და სისავსეს აღწევს ღმერთისაკენ სწრაფვით, რაც სასუფეველისაკენ მიმავალ გზას უმსუბუქებს. იგი ბაძავს ღმერთს, რომელიც, როგორც შემომქმედი, თავისკენ იზიდავს თავის შექმნილ საგნებს. ჰიმნოგრაფია განსხვავებულად აღიქვამს და წარმოაჩენს წმინდანს, იგი სიახლოვეს უფრო ჰომილიებთან ამჟღავნებს, რადგან ჰომილიაც და საგალობელიც წმინდანის ხატ-სახეს ასახავს მისი აღსრულების შემდეგ; ორივე დროსივრცული ასახვის თვალსაზრისითაც ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებული ჟანრია. ჰაგიოგრაფია მოგვითხრობს წმინდანის ცხოვრებას მისი დაბადების წინასწარგანზრახულობიდან მოყოლებული. ჰიმნოგრაფია და ჰომილეტიკა კი უკვე წმინდანად ჩამოყალიბებულ ადამიანს წარმოაჩენს. ამიტომ ჰიმნოგრაფიის პერსონაჟი, რომელიც უთუოდ წმინდანია, უკვე ზეციური მოქალაქეა. საგალობელი წმინდანს აქებს როგორც ზესთასოფელში, ზეციურ დასში დამკვიდრებულს, ზეციურ მოქალაქეს, ზეცათა ქალაქის მკვიდრს, რომელიც მისაბაძად აისახება. საგალობელი ერთდროულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ღვთის დიდებას, მეორე მხრივ, წმინდანის ღვთისადმი მიმსგავსებულ, მიმბაძველ სახეს, რაც მიუთითებს, რომ არსებობს მისაბაძი და მიმბაძველი. ჰიმნოგრაფიც, ჰომილეტიკოსიც, ჰაგიოგრაფიც, წმინდანს გამოარჩევენ საზოგადოებისაგან და მასზე ამახვილებენ ყურადღებას, მას ამკობენ სულიერი სილამაზით, მშვენიერებით და ამაღლებულობით, რომელთა საფუძველი სულიერებაა.

ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურის დარგები, როგორც ზემოთ აღინიშნა, წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენენ. ესაა 1. ბაძვა და 2. ზიარება, რაც განღმრთობით სრულდება. წმინდანისათვის ბაძვა ის საფეხურია, რომელიც აუცილებელია ზიარებისათვის, სულიერი განღმრთობისათვის.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში განსხვავებულად წარმოიდგინება ზეციური მოქალაქობის მიღწევის გზები, რაც მათ დასახელებებშიც თვალნათლივ ჩანს. ცხოვრებების სახელწოდებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული

წმ. მამათა „მოქალაქობას“, რაც უმაღლესი საფეხურია ადამიანის სულიერი განვითარებისა.

წმინდანებმა ღვთისაგან სულიერი ცხოვრების უმაღლეს საფეხურად მოქალაქობა, ზეცათა მოქალაქობა ამქვეყნად გაწეული ღვაწლისათვის დაიმსახურეს; მათ ეს დიდი პატივი ერგოთ, რათა „ჰნათობდეს ყოველთა“. საამისოდ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში დამკვიდრდა ორი ტიპის ხატ-სახე წმინდანისა: **„ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ და „ანგელოზებრივი ცხოვრება“**. ბიზანტიური და ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების სახისმეტყველება მიუთითებს, რომ **„ზეცისა კაცისა და ქუეყანისა ანგელოზის“ და** წმინდანის **„ანგელოზებრივი ცხოვრება“** ბერმონაზვნური ცხოვრება-მოღვაწეობის ორ ტიპს მიუთითებს: 1. **„ზეცისა კაცისა და ქუეყანისა ანგელოზი“** იმგვარ ბერმონაზონთა სიმბოლურ ხატ-სახედ წარმოგვიდგება, რომლებიც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში არიან ჩართულნი და სულიერ ღვაწლთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევიან; **2. „ანგელოზებრივი ცხოვრება“** კი იმგვარ წმინდანთა სახეს წარმოაჩენს, რომლებიც განმარტოებით იმყოფებიან ღვაწლში და რომელთა სხვადასხვაგვარი სახეობებია ცნობილი: უდაბნოში განმდგარი ბერმონაზვნები, მღვიმის მკვიდრნი, მძოვარნი და სხვ. ორივე ტიპის ბერმონაზვნური ცხოვრება-მოღვაწეობის მიზანდასახულობა ერთია: ზეციური მოქალაქობის მოპოვება.

ამრიგად, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში წმინდანის სულიერი ხატ-სახე, მისი განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, განსხვავებულად წარმოჩნდება. მათი წარმოსახვის პრინციპები ემყარება ადრეული შუა საუკუნეობრივი ლიტერატურის სპეციფიკას, ეპოქის მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას, ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპებს, ესთეტიკურ ფენომენს. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია მხოლოდ ჟანრის, ან ავტორთა აზროვნების წესზე კი არ მეტყველებენ, არამედ ეპოქის სულისკვეთებას, მსოფლმხედველობას, მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის ხარისხსა და დონეს მიუთითებენ. ჰაგიოგრაფია, როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურის დარგი, წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს. ესაა 1. ბაძვა, რომელიც პროცესია, და 2. ზიარება, რაც განღმრთობით სრულდება, და შედეგია, ჰაგიოგრაფიის წმინდანისათვის ბაძვა ის საფეხურია, რომელიც აუცილებელია ზიარებისათვის, სულიერი განღმრთობისათვის; ხოლო ჰიმნოგ-

რაფიის წმინდანი არაა მიმბაძველი, იგი ზეციური მოქალაქეა, რომელმაც უკვე ამიერსოფლით განსვლისას შეიძინა ახალი მეობა, მოიპოვა მარადიული ღირებულებები, ღმერთთან სულიერ ქორწინებას მიაღწია და ღვთაებრივი, ანუ ზესთასოფლური სული, „სამოსელი პირველი“ დაიბრუნა. ყოველივე ეს ცნებითადაც არის დამკვიდრებული საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და მისი აღქმა ლიტურგიული ცნობიერებითაა შესაძლებელი.

ლიტერატურა:

ნეტარი ავგუსტინე, 2002 – Аврелий Августин, О граде Божием, в Кн.: История средневековой философии, в двух частях, ч. 1, Патристика, Хрестоматия, Минск, 2002.

ახალი აღთქუმაᲲ, 1994 – წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციით, საქართველოს საპატრიარქოს გამოც., თბ., 1994.

ბიჩკოვი, 1999 – Бычков В. 2000 лет христианской культуры. Sub specie aesthetica. Т. 1. Раннее христианство. Византия. М., 1999.

გიგინეიშვილი, 1978 – გიგინეიშვილი მ. „შუშანიკის წამება“, წიგნში: „ნათელი ქრისტესი“, თბ., 2003.

გრიგოლაშვილი, 2002 – ლ. გრიგოლაშვილი, წმინდანის თემა ქართულ სასულიერო პოეზიაში, წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადების 75-ე წლისთავს), თბ., 2002 (დაბეჭდილია აგრეთვე, წიგნში: ნათელი ქრისტესი“, თბ., 2003).

დიონისე არეოპაგელი, 2002 – Дионисий Ареопагит, Сочинения. Максим Исповедник, Толкования. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова. "Алетейя". СПБ. 2002.

ლოსკი, ვ. 1991 – Лосский В., Очерк мистического богословия Восточной церкви, в кн. Мистическое богословие. Киев. 1991.

Nestan Sulava

GENERAL ASPECTS OF HEAVEN CITIZENSHIP IN HAGIOGRAPHY AND HYMNOGRAPHY

Summary

Adopting the heaven citizenship is one of the main problems in religious literature. The religious essence of heaven and heaven citizenship represents the unity of two worlds, the earth and the heaven.

Hagiography and hymnography reflect the icon of a spiritual resident of these two worlds, when the resident of the heaven is always in the heaven.

Living on the earth is different. It is defined in accordance with his morals in the world. Is his soul full of sins or not, is he keen on earthy interests and passion. That's why the citizenship of a man is defined with his living habits, morals and behaviour. The result is the citizenship of the heaven. The heaven is internal and endless in space.